გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 53
2020 წლის 08 მაისი
ქ. გორი

ქალაქ გორში, მშვიდობის გამზირზე, შინდისის გმირების გამზირზე და ჩუბინიშვილის ქუჩაზე „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ

ქალაქ გორში, მშვიდობის გამზირზე, შინდისის გმირების გამზირზე და ჩუბინიშვილის ქუჩაზე, მიუხედავად ავტოტრანსპორტის სიჩქარის ამკრძალავი საგზაო ნიშნების არსებობისა, ზოგიერთი მძღოლი მოძრაობს გადაჭარბებული სიჩქარით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საგზაო უსაფთხოებიდან და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აღნიშნულ ქუჩებზე განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“ შესაბამისი საგზაო ნიშნებით, შემდეგ მისამართებზე:

ა) მშვიდობის გამზირი №20 და №21 შორის; ბ) მშვიდობის გამზირი №26 და №25-27 შორის; გ) შინდისის გმირების გამზირი №9-11 და №24 შორის; დ) ჩუბინიშვილის ქუჩა №26-ის მიმდებარედ; ე) ჩუბინიშვილის ქუჩა №20-ის მიმდებარედ; ვ) ჩუბინიშვილის ქუჩა №22-ის მიმდებარედ.

„ხელოვნური უსწორმასწორობები“ უნდა დამონტაჟდეს გოსტ -52 605-2005-ის შესაბამისად და ორივე მხარეს განთავსდეს გოსტ-ის მიხედვით შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“; ბ) 3.24 „სიჩქარის მაქსიმალური შეზღუდვა“ (30 კმ/სთ); გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ გორში განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“ შემდეგ მისამართებზე:

ა) მშვიდობის გამზირი №20 და №21 შორის;

ბ) მშვიდობის გამზირი №26 და №25-27 შორის;

გ) შინდისის გმირების გამზირი №9-11 და №24 შორის;

დ) ჩუბინიშვილის ქუჩა №26-ის მიმდებარედ.;

ე) ჩუბინიშვილის ქუჩა №20-ის მიმდებარედ;

ვ) ჩუბინიშვილის ქუჩა №22-ის მიმდებარედ.

2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“ დამონტაჟდეს გოსტ-52 605-2005-ის შესაბამისად და ორივე მხარეს განთავსდეს გოსტ-ის მიხედვით შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;

ბ) 3.24 „სიჩქარის მაქსიმალური შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);

გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**